საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 1 20 00351830

29/04/2020

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^2 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას: ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, პირობითი აკრედიტაციის ვადაა არაუმეტეს 2 წელი.

1.4. აკრედიტაციის დებულების 27[5] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 20 მაისს შპს ქუთაისის უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №1135 (ცენტრში რეგისტრაციის №645964, 2019 წლის 27 მაისი) სააკრედიტაციო განაცხადი „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე.

2.2 ექსპერტთა ჯგუფმა 2019 წლის წლის 17 ოქტომბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		
4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭოს 2019 წლის 24 ოქტომბრის №193 ბრძანებით შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე.
2.4. 2017 წლის 27 ნოემბერს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს ქუთაისის უნივერსიტეტის №2285 სააპელაციო საჩივარი და მოთხოვნილი იყო საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.
2.5. სააპელაციო საბჭოს 2020 წლის 2 აპრილის გადაწყეტილებით, საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამა.
2.6. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, აკრედიტაციის საბჭოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება.
2.7. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 10 აპრილს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, აკრედიტაციის საბჭოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების, სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, ასევე ექსპერტთა დასკვნაში არსებული რეკომენდაციებისა და ზეპირი მსჯელობის საფუძველზე მიიჩნია, რომ მე-2 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან უნდა შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან” და მე-4 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან” უნდა შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან”.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტე ბის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 28^8 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 33-ე მუხლის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად ჩვიდმეტი ხმით ორის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1.დაკმაყოფილდეს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი და ამ გადაწყვეტილების დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 2 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2020 წლის 28 აპრილის №MES 0 20 00351820 სხდომის ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4.საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) გამრავალფეროვნდეს შეფასების მეთოდები რაც სათანადოდ ამოწმებს დისციპლინის კონკრეტულ სწავლის შედეგებს;

ბ) გაიზარდოს იმ ექსპერტების რაოდენობა, რომლებთანად დაწესებულება თანამშრომლობს;

გ) გაიზარდოს საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობა, რათა გაუმჯობესდეს სტუდენტებისა და აკადემიკოსების გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობები, ასევე ბიზნეს გეგმა და რესურსები მდგრადი ინტერნაციონალიზაციისთვის;

დ) განხორციელდეს OSCE გამომცდელების აყვანა და გადამზადება პროგრამის ადრეულ ეტაპზევე, რათა ისინი მზად იყვნენ შემაჯამებელი შეფასებებისთვის;

ე) განვითარდეს ფაკულტეტი სხვადასხვა სამედიცინო განათლების მეთოდებში;

ვ) განვითარდეს აკადემიური და აფილირებული პერსონალის სასწავლო და ენობრივი უნარები, ასევე, გაუმჯობესდეს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება.

ზ) კლინიკურ სასწავლო კურსების სილაბუსებში მოხდეს დარგობრივი უნარების გადახედვა და სასწავლო კურსის სპეციფიკური კომპეტენციების დაზუსტება.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს 2020 წლის 28 აპრილს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
თიკანაშვილი ნიკა